

შპს “მულტიკოლორი”

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:	
1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა.....	8
2. მომზადების საფუძველი.....	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა.....	9
4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები.....	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	12
7. ძირითადი საშუალებები.....	13
8. არამატერიალური აქტივები.....	13
9. კრედიტორული დავალიანება.....	14
10. სესხები და პროცენტები.....	14
11. შემოსავლები.....	14
12. შრომის ანაზღაურების ხარჯი.....	14
13. საოპერაციო ხარჯები.....	14
13. საანგარიშო პერიოდის შემდეგ მომხდარი ცვლილებები.....	15

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მულტიკოლორი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.


2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი (მინდობილი პირი)

მაკა კობიაშვილი

ბუღალტერი

დავით კუხალაშვილი



28 სექტემბერი 2021 წ.

საქართველო, თბილისი

შპს "მულტიკოლორი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტი	4	357,828	358,335	379,793
სავაჭრო მოთხოვნები	5	136,438	150,823	132,707
გადახდილი ავანსები	5	37,033	84,992	8,770
სხვა მიმდინარე აქტივები	6	4,188	2,942	2,953
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	6	874,330	641,538	711,455
ძირითადი საშუალებები	7	58,070	61,962	45,318
არამატერიალური აქტივები	8	2,254	1,577	2,102
სულ აქტივები		1,470,141	1,302,169	1,283,098
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	9	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
გადასახდელი ხელფასები		0	0	0
მიღებული სესხები	10	130,420	130,000	133,830
სხვა ვალდებულებები		0	0	6,690
სულ ვალდებულებები		130,420	130,000	140,520
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		195,755	195,755	195,755
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		1,143,966	976,414	946,823
სულ კაპიტალი		1,339,721	1,172,169	1,142,578
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,470,141	1,302,169	1,283,098

დირექტორი (მინდობილი პირი)

მაცა კობიაშვილი



ბუღალტერი

დავით კუხალაშვილი



შპს "მულტიკოლორი"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	11	2,719,221	2,908,011
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,919,339)	(2,041,872)
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	11	6,377	7,627
მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი		0	0
სხვა შემოსავლები	11	10,596	0
შრომის ანაზღაურების ხარჯი	12	(210,357)	(205,386)
საიჯარო მომსახურების ხარჯი		(60,883)	(48,293)
ცვეთის ხარჯი		(22,585)	(18,848)
საპროცენტო ხარჯი		(18,035)	(14,074)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(77,381)	(111,754)
მოგება დაბეგვრამდე		427,614	475,411
მოგების გადასახადი		(39,009)	(66873)
პერიოდის მოგება/ზარალი		388,605	408,538
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		388,605	408,538


დირექტორი (მინდობილი პირი)

მაკა კობიაშვილი



ბუღალტერი

დავით კუხალაშვილი



შპს "მულტიკოლორი"

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	195,755	976,414	-	1,172,169
წმინდა მოგება/ზარალი	-	427,614	-	427,614
დივიდენდის გატანა	-	(260,062)	-	(260,062)
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	195,755	1,143,966	-	1,339,721

დირექტორი (მინდობილი პირი)

მაკა კობიაშვილი



ბუღალტერი

დავით კუხალაშვილი



შენიშვნები გვერდებზე 8-15 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს.

შპს "მულტიკოლორი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

თანხა მოცემულია ლარში

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	3,239,076	3,424,944
მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(2,289,851)	(2,357,516)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(164,920)	(161,022)
გადახდილი საბიუჯეტო გადასახადები	(466,167)	(517,486)
სხვა ფულადი ხარჯები	(96,619)	(6,861)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	221,519	368,220
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(18,692)	(34,968)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(18,692)	(34,968)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	139,420	142,970
სესხის დაფარვა	(139,000)	(146,800)
პარტნიორთა შენატანები	-	-
გაცემული დივიდენდი	(210,000)	(360,000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(209,580)	(363,830)
ფულადი ნაკადების წმინდა ცვლილება	(6,753)	(16,739)
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი	6,246	(4,719)
ფულის და ფულის ეკვივალენტების საწყისი ნაშთი	358,335	379,793
ფულის და ფულის ეკვივალენტების საბოლოო ნაშთი	357,828	358,335


დირექტორი (მინდობილი პირი)

მაკა კობიაშვილი



ბუღალტერი

დავით კუხალაშვილი



შპს “მულტიკოლორი”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია და ძირითადი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მულტიკოლორი” შემდგომში (კომპანია) რეგისტრირებულია 2015 წლის 10 თებერვალს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400138258. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტი და რეალიზაცია. იურიდიული მისამართია ქ.თბილისი, გლდან-ნაძალადევის რაიონი, ვ.ჯანჯღავას ქ. მე-2 შესახვევი N10. ფაქტიური მისამართია ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი 112-ე კმ. ლილოს ბაზრობა.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი და მმართველი არის:

- ნანა ქაჯაია (01004014338) - 100.00%;

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის შემდგომ (მსს ფასს) პირველად გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით, ნაწილი 35-ე „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები, გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულია და დამტკიცებულია 2021 წლის 28 სექტემბერს.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2020 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისათვის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2020 წლის 1 იანვარი	2.8661	3.2143

3.2 ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

3.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის კომპანიის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის შედეგად მყიდველებისაგან მისაღები თანხები. აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

3.4 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვას კომპანია ახდენს უწყვეტი აღრიცხვის მეთოდით.

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასა და მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ ყველა დანახარჯს.

მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

3.5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა თანხით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის ღირებულებაზე 20% განაკვეთით.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით.

არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის ღირებულებაზე 20% განაკვეთით.

3.7 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში ერთიანდება მომწოდებლებისათვის გადასახდელი თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის ან საქონლის მოწოდების შედეგად. თუ სავაჭრო ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან ვალდებულებებში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა/ზარჯი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში შესაბამისად.

3.8 სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

3.11 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადახდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.12 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

3.13 შემოსავლების აღიარება

შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან ან/და მომსახურების გაწევიდან მაშინ აღიარდება, როდესაც კლიენტისთვის ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდება. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რეალიზაციასთან დაკავშირებული არაპირდაპირი გადასახადების გამოკლებით.

3.14 სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

3.15 ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება მაშინ თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეებზე განაწილებასთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ნაშთები:

	31.12.2020	01.01.2020
ნაღდი ფული სალაროში	228,106	183,887
ეროვნულივალუტარეზიდენტ ბანკში	114,261	87,892
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	15,461	86,556
სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები:	357,828	358,335

5. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2020	01.01.2020
სავაჭრო მოთხოვნები	136,438	150,823
გადახდილი ავანსები	37,033	84,992
სულ სავაჭრო მოთხოვნები:	173,471	235,815

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შედგება შემდგომი რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელისგან.

	31.12.2020	01.01.2020
საქონელი	874,330	641,538
მასალები	-	-
სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	4,188	2,942
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები:	878,518	644,480

7. ძირითადი საშუალებები

	დისტრიბუციის ავტომატები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 01.01.2020	45,701	8,990	23,159	13,765	91,615
შეძენა	15,827	2,357	509	-	18,693
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	61,528	11,347	23,667	13,765	110,307
ბალანსი 01.01.2020	20,995	1,798	4,631	2,753	30,177
ცვეთა	12,305	2,269	4,733	2,753	22,060
ჩამოწერა	-	-	-	-	-
ბალანსი 31.12.2020	33,300	4,067	9,364	5,506	52,237

8. არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
ბალანსი 01.01.2020	-	2,627
შეძენა	-	678
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	-	3,305
ბალანსი 01.01.2020	-	525
ცვეთა	-	525
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2020	-	1,050

პროგრამული უზრუნველყოფა წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა „ფინა ბუღალტერია“-ს,

9. კრედიტორული დავალიანება

	31.12.2020	01.01.2020
სავაჭრო ვალდებულებები	-	-
სულ კრედიტორული დავალიანება	-	-

10. სესხები და სხვა ფინანსური ვალდებულებები

	31.12.2020	01.01.2020
საკრედიტო ხაზი 179,000 ლარი პროგრ.ბანკი	130,420	130,000
სულ სესხები და ფინ. ვალდებულებები:	130,420	130,000

კომპანიას გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი პროგრედიტბანკში 179,000 ლარის ოდენობით, საიდანაც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული აქვს 130,420 ლარი. სხვა სასესხო ვალდებულებები სანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის კომპანიას არ გააჩნია.

11. შემოსავლები

	31.12.2020	31.12.2019
შემოსავლები საქონლის მიწოდებიდან	2,719,221	2,908,011
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	6,377	7,627
სხვა შემოსავლები	10,596	-
სულ შემოსავლები:	2,736,194	2,915,638

12. შრომის ანაზღაურების ხარჯი

	2020	2019
შრომის ანაზღაურების ხარჯი		
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები	210,357	205,386
სულ შრომის ანაზღაურების ხარჯი	210,357	205,386

<i>13. სხვა საოპერაციო ხარჯები</i>	2020	2019
საკანცელარიო და საოფისე ხარჯები	640	926
ბანკის საკომისიო	5,088	6,861
დისტრიბუციის მანქანების საწვავის ხარჯი	14,972	19,188
დისტრიბუციის მანქანების რემონტი	7,546	5,923
დაზღვევა	1,680	1,744
სხვა გამოსაქვითი ხარჯები	9,724	38,030
საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება	14,400	15,600
კომუნიკაციის ხარჯები	831	971
რეკლამის ხარჯები	-	-
ქველმოქმედების ხარჯი	-	-
შეძენილი მომსახურება (ავტომობილის იჯარა)	22,500	22,500
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	77,381	111,743

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია. კორონა ვირუსის მსოფლიო პანდემიამ რათქმაუნდა იმოქმედა ორგანიზაციის საქმიანობაზე, მაგრამ არცერთ დაშვებასა და ანგარიშგების მომზადების პრინციპზე გავლენა არ მოუხდენია.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



92514797145417

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170997066



რეგისტრაციის თარიღი

31.08.2017 წ

ნოტარიუსი: ნანი სიდამონიძე

მისამართი: ქ. თბილისი, დ.გურამიშვილის გამზ #27

ტელეფონი: 593-32-67-97

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდათერთმეტ აგვისტოს მე, ნოტარიუს ნანი სიღამონიძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №27, მომმართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მულტი კოლორი“-ს (400138258) დირექტორმა ქალბატონმა ნანა ქაჯაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს მაკა კობიაშვილს მიანიჭოს გარკვეული უფლებამოსილება და ისათვის წარმოადგინა მინდობილობის პროექტი და მოითხოვა მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ნანა ქაჯაია (დაბ. 30.09.1975წ. პ № 01004014338, მისამართი: თბილისი, პ. ჯანჯღავას ქ № 53) მომმართა.

მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „მულტი კოლორი“, რაც დასტურდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერით (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გლდანი - ნაძალადევის რაიონი, პ. ჯანჯღავას ქ. II შეს № 10, რეგისტრაციის თარიღი: 10.02.2015წ. საიდენტიფიკაციო კოდი: № 400138258, გაცემული 10.02.2015 17.41.15წ.

მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ნანი სიღამონიძემ წინამდებარე მინდობილობა წაუკითხე ნანა ქაჯაიას განუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამომხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

ორი ათას ჩვიდმეტი წლის ოცდათერთმეტ აგვისტოს ნანა ქაჯაიამ (დაბ. 30.09.1975წ. პ № 01004014338, მისამართი: თბილისი, პ. ჯანჯღავას ქ № 53) როგორც შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) დირექტორმა და როგორც შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) 100%-იანი წილის მფლობელმა, რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „მარწმუნებელი“, წინამდებარე მინდობილობით მაკა კობიაშვილს (დაბ. 21.02.1980წ. პ № 13001003989) რომელიც შემდეგში წოდებულია, როგორც „რწმუნებული“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

„რწმუნებული“ უფლებამოსილია აწარმოოს შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) ფუნქციონერებასთან და კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სახის მოქმედება, საზოგადოების სახელით შეიძინოს საქონელი და განახორციელოს მისი რეალიზაცია, აწარმოოს საქონლის ექსპორტი - იმპორტი, აწარმოოს შესაბამისი სასაქონლო ოპერაციები. აწარმოოს „მარწმუნებლის“ საბანკო საქმე, მართოს და განკარგოს მისი საბანკო ანგარიშები როგორც საქართველოს ნებისმიერ ბანკში ისე საზღვარგარეთ, მოახდინოს შესაბამისი საბანკო ოპერაციები, გადარიცხვები, კონვერტაცია, შეიტანოს და გამოიტანოს თანხა, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს „მარწმუნებლის“ სახელით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში და ორგანიზაციაში, საჯარო რეესტრში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესაბამის ორგანოებში, გადაიხადოს გადასახადები, მოიპოვოს და ჩააბაროს საჭირო ცნობები და დოკუმენტაცია „მარწმუნებლის“ სახელით და შეასრულოს აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო მოქმედება.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) დაწესებულებაში, დადოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, მოაწეროს ხელი მარწმუნებლის სახელით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნულ დავალებასთან.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია იყოს შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) სრულუფლებიანი წარმომადგენელი საქართველოს ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, მათ შორის ს.ს. „პროკრედიტ ბანკში“, ს.ს. „თიბისი ბანკში“, ს.ს. „საქართველოს ბანკში“.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ დან, ს.ს. „თიბისი ბანკი“ დან, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ დან საზოგადოების სახელით აიღოს ნებისმიერი საბანკო სესხი და კრედიტები ნებისმიერ ვალუტაში, მოახდინოს საბანკო კრედიტების პირობების ცვლილება და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს (სესხის და საკრედიტო

მომსახურებაზე გენერალური ხელშეკრულება/სასესიო, საკრედიტო ხაზის გახსნა, საკრედიტო ხელშეკრულება/ოვერდრაფტის ხელშეკრულება და სხვა) და დამოუკიდებლად თავად განსაზღვროს ყველა ხელშეკრულების (საბანკო სესხი, კრედიტი/ოვერდრაფტი და ა.შ) პირობები, ასევე ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებებში (სასესიო, საკრედიტო მომსახურებაზე გენერალური ხელშეკრულება/სასესიო, საკრედიტო ხელშეკრულება/ოვერდრაფტის ხელშეკრულება და სხვა) ცვლილებებს, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკით, მიიღოს და ისარგებლოს დიჯიპასით. ასევე, „მარწმუნებლის“ სახელით შეიტანოს ცვლილებები და განახორციელოს რესტრუქტურიზაცია უკვე გაფორმებულ ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებებში. რწმუნებული უფლებამოსილია დაფაროს სესხი წინსწრებით, სრულად ან ნაწილობრივ განახორციელოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

მინდობილობის გამცემი წინამდებარე მინდობილობით უფლებამოსილებას ანიჭებს მინდობილ პირს როგორც შ.პ.ს. „მულტი კოლორი“-ს (400138258) დირექტორი და როგორც შ.პ.ს. „მულტი კოლორი“-ს (400138258) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის სახელით განახორციელოს ქმედებები მხოლოდ წინამდებარე მინდობილობით პირდაპირ განსაზღვრული წესისა და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. რწმუნებული უფლებამოსილია შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) დირექტორის და ასევე 100%-იანი პარტნიორის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, მათ შორის პარტნიორთა კრების ოქმებს, რომელიც ეხება სს „თიბისი ბანკი“-დან განუსაზღვრელი ვადით, ნებისმიერ ვალუტაში და ნებისმიერი ოდენობით საკრედიტო პროდუქტების აღებას და მათ უზრუნველსაყოფად შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავ / მოძრავი ქონების იპოთეკით / გირავნობით დატვირთვას და ყველა იმ შეთანხმებებს რომელიც მითითებული არ არის წინამდებარე მინდობილობაში, მაგრამ გამომდინარეობს ან დაკავშირებულია აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან. მინდობილი პირი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს აღნიშნული დოკუმენტების შინაარსი. მინდობილი პირი უფლებამოსილია შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) სახელით სს „თიბისი ბანკის“ წინაშე იკისროს სოლიდარული ვალდებულება მსესხებელთან ერთად, მსესხებლის მიერ სს „თიბისი ბანკის“ მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. მინდობილი პირი უფლებამოსილია ხელი მოაწეროს შესაბამის სოლიდარული ვალდებულების ხელშეკრულებას, აღნიშნულ ხელშეკრულებაში შემდგომში განსახორციელებელ ნებისმიერ ცვლილებას, განსაზღვროს ხელშეკრულებაში პირობები. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია მინდობილობის გამცემი პირის სახელით სს თიბისი ბანკის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთოს შპს „მულტი კოლორი“-ს (400138258) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. ხელი მოაწეროს შესაბამის იპოთეკის ხელშეკრულებას, აღნიშნულ იპოთეკის ხელშეკრულებაში შემდგომში განსახორციელებელ ნებისმიერ ცვლილებას, იპოთეკის უფლების რეგისტრაციის შეწყვეტაზე შესაბამის განაცხადს და აღნიშნულ სამართლებრივ ქმედებებთან დაკავშირებით იყოს მინდობილობის გამცემი პირის წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. მინდობილი პირი უფლებამოსილია ერთპიროვნულად განსაზღვროს იპოთეკის ხელშეკრულების პირობები. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობის გამცემი პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის ამ მინდობილობით გაცემული დავალების შესასრულებლად.

წმუნებული უფლებამოსილია მართოს და განკარგოს მარწმუნებლის საბანკო ანგარიშები, განახორციელოს მარწმუნებლის სახელით ყველა სახის საბანკო ოპერაცია, მათ შორის თანხის შეტანა - გამოტანა, კონვერტაცია, გადარიცხვები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ, დაფაროს სესხი, კრედიტი, მათ შორის ვადაზე ადრე, შეიტანოს ცვლილებები

ხელშეკრულებებში. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით გააუქმოს ხელშეკრულებები, ანგარიშები, ანაბრები, მათ შორის ვადაზე ადრეც, დაარღვიოს სახელშეკრულებო პირობები, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს „მარწმუნებლის“ სახელით და შეასრულოს ყველა პროცედურა რაც დადგენილია ქვეყნის კანონმდებლობით და ბანკის შიდა აქტებით.

„რწმუნებული“ უფლებამოსილია საზოგადოების სახელით შეიძინოს უძრავი და მოძრავი ქონება საქართველოში, ამის შესაბამისად რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი სახელმწიფო და სხვა ნებისმიერი სახის ორგანიზაცია - დაწესებულებასთან, მათ შორის საჯარო რეესტრთან და ნოტარიუსთან, თავის შეხედულებით განსაზღვროს ნასყიდობის ფასი და გარიგების პირობები, მოაწეროს ხელი ნასყიდობის ხელშეკრულებას მარწმუნებლის სახელით, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები, დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში და სხვა მარეგისტრირებელ ორგანოში შეძენილი უძრავი და მოძრავი ქონება, მიიღოს ამონაწერი და შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომლის ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მხარეს. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

გადახდილია - 25.60 ლარი, აქედან: სანოტარო საზღაური 20 (ოცი) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 31-ე მუხლისა, დღგ 3.60 ლარი და რეესტრში რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (დღგ-ს ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011წლის 29 დეკემბერი, №507) 39-ე მუხლისა.

მარწმუნებელი: ნანი სიდამონიძე

ნოტარიუსი :



/ნანი სიდამონიძე/

Handwritten text and a small logo at the top right of the page.

